ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3301591

ნომერი: AR1507234

თარიღი : 26.05.2017

გაცემის თარიღი : 05.06.2017

გაცნობის თარიღი : 05.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წინამძღვრიშვილი , N 135 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა წაქაძე პ/ნ 01024023438
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 16 ბ. 125

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ღობის რეკონსტრუქციის (ნაწილობრივი დემონტაჟის) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე; თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა

განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ . თბილისში,სექტორი დიდუბე, წინამძღვრიშვილი , N 135-ში, შპს თბილისი მოლის საკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. № 026/002) I კლასის ღობის რეკონსტრუქციის (ნაწილობრივი დემონტაჟის)განხორციელებას . პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნე-ბართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016121772საკადასტრო კოდი N 01.13.07.026.002, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს I კლასის ღობის რეკონსტრუქციის (ნაწილობრივი დემონტაჟის) განხორციელების შესაძლებლობას საკადასტრო საზღვრების ფარგლებში.

ასევე გაითვალისწინეთ : –ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში საპროექტო ობიექტის რეკონსტრუწქციის (ნაწილობრივი დემონტაჟის) საკითხი წინასწარ იქნას შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან;

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.